საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2020 წლის 14 აგვისტოს
№01-05-04/107 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 23 ივნისის
№01-05-04/69 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ეკონომიკა
Economics

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Engineering Economics, Media technologies and Social Sciences

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი ალექსანდრე სიჭინავა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ეკონომიკის დოქტორი (Doctor of Economics) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის (60 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში; სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ეკონომიკის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს - „ეკონომიკა“; „განათლების მეცნიერება“; „პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები“; „სოციალური და ქცევითი მეცნიერებები“; „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“; „ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა“; „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“; „მარკეტინგი და რეკლამა“; „სამართალი“; „სტატისტიკა“; „ტურიზმი“; “მათემატიკა”; „ინფორმატიკა“; „ფილოსოფია“; “ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა“; „ინჟინერია და საინჟინრო საქმე“ შესაბამისი განათლების, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).
პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; ასევე, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება.
ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.
დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:
https://gtu.ge/Science/doctorantura.php
პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში.
პროგრამა გრძელდება არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს.
პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა - 4 კრედიტი; სწავლების მეთოდები - 6 კრედიტი; ეკონომიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები - 10 კრედიტი; სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები - 30 კრედიტი; პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი.
პირველი სემესტრი მოიცავს სასწავლო კომპონენტების სამ სავალდებულო ელემენტს (4, 6 და 10 კრედიტი), პროგრამასთან დაკავშირებულ ერთ სპეცკურსს (10 კრედიტი).
მეორე სემესტრი მოიცავს პროგრამასთან დაკავშირებულ ორ სპეცკურსს (10 და 5 კრედიტი), ერთ არჩევით სასწავლო კურსს (5 კრედიტი).
მესამე სემესტრი ეთმობა პროფესორის ასისტენტობას (10 კრედიტი).
პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: პროექტი/პროსპექტუსი; კოლოკვიუმი - 1; კოლოკვიუმი - 2; კოლოკვიუმი - 3; წინასწარი დაცვა; დისერტაციის დასრულება და დაცვა.
დოქტორანტი კვლევითი კომპონენტების მომზადებას იწყებს **მეორე სემესტრიდან: პროექტი/პროსპექტუსი; მესამე სემესტრი**: კოლოკვიუმი - 1; **მეოთხე სემესტრი:** კოლოკვიუმი -2; **მეხუთე სემესტრი:** კოლოკვიუმი -3; **მეექვსე სემესტრი:**წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა.
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება და „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი“ დეტალურად იხილეთ სტუ-ის ვებ გვერდზე:

https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
სასწავლო წელი შედგება ორი – საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრისაგან. შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადები დგინდება ყოველი სემესტრის დასაწყისში რექტორის ბრძანებით „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის“ საფუძველზე, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებ გვერდზე https://gtu.ge/Orders/

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის მიზანია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე კონკურენტუნარიანი, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, ეკონომიკის დოქტორების მომზადება ისეთი უნარებით, როგორიცაა:

- ეკონომიკის სფეროს თანამედროვე გამოწვევების ახლებური გააზრება, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული კრეატიული ხედვა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის და ინსტიტუციური მოწყობის შეფასება, კომპლექსურ საკითხებზე ოპტიმალური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და ღირებული რეკომენდაციების შემუშავება;
- სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევის ჩატარება და შედეგების საჯაროდ წარდგენა, მკვლევართა საზოგადოებაში თავისუფალი ინტეგრაცია აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

მსჯელობს ეკონომიკის თეორიის განვითარების კანონზომიერებების, ეკონომიკური პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ;
განსაზღვრავს უახლეს ცოდნაზე დამყარებული კომპლექსური კვლევების როლს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში;
აანალიზებს განვითარებული ქვეყნების ინსტიტუციური მოწყობის თანამედროვე პრაქტიკას;
იყენებს შესაბამის მეთოდოლოგიას და კვლევის ანალიტიკურ მეთოდებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, სამეცნიერო ნაშრომების, კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვის, ზედამხედველობის და შესრულებისას;
დამოუკიდებლად **წარმართავს** აკადემიურ პროცესს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე ტექნოლოგიებით;
უახლესი ცოდნის საფუძველზე **შეიმუშავებს** ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის კრეატიულ მიდგომებს;
ეკონომიკური მეცნიერების კვლევის მეთოდების ფლობის საფუძველზე **აყალიბებს** ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზებს;
წარმოაჩენს ახალ ცოდნას არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, სამეცნიერო კომუნიკაციის თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით როგორც სამეცნიერო, ასევე ფართო საზოგადოებასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიაში;
ავლენს თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებებისადმი პატივისცემას, მათ რეალობაში დამკვიდრების სურვილსა და მზაობას.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☐ პრაქტიკული ☐ ლაბორატორიული

☐ სამეცნიერო-თემატური სემინარი ☒ დამოუკიდებელი მუშაობა ☒ კონსულტაცია
☒ კვლევითი კომპონენტი ☒დისერტაციის გაფორმება ☒დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის **მეთოდების** ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი;**
2. **დისკუსია/დებატები;**
3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);**
4. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა;**
5. **შემთხვევების შესწავლა (Case study);**
6. **გონებრივი იერიში (Brain storming);**
7. **ინდუქციური;**
8. **დედუქციური;**
9. **ანალიზის;**
10. **სინთეზის;**
11. **ახსნა-განმარტებითი;**
12. **წერითი მუშაობა;**
13. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;**
14. **გონებრივი სავარჯიშო;**
15. **დემონსტრირების;**
16. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.**

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.
სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
  (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100-ქულიანი სისტემით. სასწავლო კურსი დოქტორანტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგად დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.
შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30. მიმდინარე აქტივობისა და შუასემესტრული გამოცდის ქულათა ჯამია - 60, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 30 ქულა.
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:
https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php

დასაქმების სფერო

ეკონომიკის დოქტორის დასაქმების სფეროა, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში ფუნქციონირებადი ორგანიზაციები. მათ შორის:

- უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებები;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საკონსულტაციო და ანალიტიკური დაწესებულებები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები და სხვა საფინანსო ორგანიზაციები;
- მსხვილი კერძო ფირმები/კომპანიები.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.
სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ტექნიკური მოწყობილობით უზრუნველყოფილი აუდიტორიები და ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია.
საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.
პროგრამას განახორციელებს 20 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი.
დამატებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებლების შესახებ იხილეთ თანდართულ დოკუმენტაციაში (CV -ებში).

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 12

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№		დაშვების	ECTS კრედიტი

	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	წინაპირობა	I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	არ აქვს	4					
2	სწავლების მეთოდები	არ აქვს	6					
3	ეკონომიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები	არ აქვს	10					
4	ინსტიტუციური ეკონომიკა	არ აქვს	10					
5	გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები ეკონომიკაში	ეკონომიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები		10				
6	ეკონომიკური უსაფრთხოება	ინსტიტუციური ეკონომიკა		**5**				
	არჩევითი სასწავლო კურსები							
7.1	ღია ეკონომიკა	არ აქვს		**5**				
7.2	გლობალური ევოლუციის თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილე	არ აქვს						
7.3	კრეატიული ეკონომიკა	არ აქვს						
7.4	მეტაეკონომიკა	არ აქვს						
7.5	ეკონომეტრიკული ანალიზი	არ აქვს						
8	პროფესორის ასისტენტობა	სწავლების მეთოდები			10			
სასწავლო კომპონენტი სემესტრში:			**30**	**20**	**10**	---		
სასწავლო კომპონენტი სულ:			**60**					
კვლევითი კომპონენტი			**-**					

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი						
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1		სამეცნიერო კომუნიკაციის	4/100							

	EDU10312G1-LS	ტექნიკა		15	15			2	4	64
2	EDU10912G1-LS	სწავლების მეთოდები	6/150	30	30			1	2	87
3	SOS12412G2-LS	ეკონომიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები	10/250	30	45			2	3	170
4	SOS17612G1-LS	ინსტიტუციური ეკონომიკა	10/250	45	30			2	3	170
5	SOS12512G2-LS	გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები ეკონომიკაში	10/250	30	45			2	2	171
6	SOS17512G1-LS	ეკონომიკური უსაფრთხოება	5/125	15	30			2	2	76
7.1	SOS17812G1-LS	ღია ეკონომიკა	5/125	30	15			2	2	76
7.2	SOS12612G2-LS	გლობალური ევოლუციის თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილე	5/125	15	30			2	2	76
7.3	SOS10812G1-LS	კრეატიული ეკონომიკა	5/125	30	15			2	2	76
7.4	SOS17712G1-LS	მეტაეკონომიკა	5/125	30	15			2	2	76
7.5	SOS14112G2-LS	ეკონომეტრიკული ანალიზი	5/125	15	30			2	2	76
8	EDU11912G1-R	პროფესორის ასისტენტობა	10/250			75			2	173

პროგრამის ხელმძღვანელი ალექსანდრე სიჭინავა

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ეკატერინე შაკიაშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მიღებულია
საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
12 აგვისტო 2020 წელი,
ოქმი № 52

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
18 ივნისი, 2021 წელი,
ოქმი №60

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი